

მართლმადიდებლური ჰერმენევტიკული პრინციპები და თანამედროვე დასავლური ჰერმენევტიკა

Orthodox Hermeneutic Principles and Modern Western Hermeneutics

სტატიის მიზანია, წარმოაჩინოს, რამდენად შესაძლებელია თანამედროვე დასავლური ჰერმენევტიკა მიესადაგოს მართლმადიდებლურ ჰერმენევტიკულ პრინციპებს. საკითხის დასმა განაპირობა ამ ბოლო დროს სამეცნიერო სივრცეში გაჩენილმა ტენდენციამ, რომ მართლმადიდებლობამ ბიბლიის ტექსტის უფრო ჯეროვანი ინტერპრეტაციისთვის გარკვეულწილად შეითვისოს თანამედროვე დასავლური ჰერმენევტიკული მეთოდი. მაგრამ რამდენად მართებულია ასეთი ტენდენცია წმინდა წერილის სწორად გაგებისათვის? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა ჯერ წარმოვადგინოთ ძირითადი მართლმადიდებლური ჰერმენევტიკული პრინციპები და შემდგომ გავარკვიოთ, რამდენად შეიძლება რაიმე მიიღოს მართლმადიდებლობამ თანამედროვე დასავლური ჰერმენევტიკიდან.

მართლმადიდებელ ქრისტიანულ ეკლესიაში ჰერმენევტიკა ხორციელდება იმ პრინციპების მიხედვით, რომლებიც ვლინდება ეკლესიის ცხოვრებაში. ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ შექმნილი მართლმადიდებლური ვიკი (OrthodoxWiki) ბიბლიასთან მიმართებაში წარმოგვიდგენს მართლმადიდებლური ჰერმენევტიკის ათ პრინციპს, კერძოდ:

1. **ღმერთი ნამდვილად არის და ხორცშესხმულია ჩვენს უფალ იესო ქრისტეში.** ყველაფერი, რაც წმინდა წერილს ეხება, ქრისტოლოგიურად უნდა გავიგოთ. იესო ქრისტე, წმიდა სამების ხორცშესხმული მეორე პირი, არის ყველაფრის ცენტრი, რასაც ჩვენ, როგორც ქრისტიანები ვაკეთებთ, და როგორც თავად ჭეშმარიტება, ის არის ერთადერთი კარიბჭე, რომლითაც შეგვიძლია შევიდეთ ბიბლიის, როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის გაგებაში. ბიბლია ძირითადად ქრისტეს შესახებაა და გვეხმარება მასთან ერთობაში.

2. **მხოლოდ გულით წმინდანი იხილავენ ღმერთს.** ანუ ჩვენი სულიერი მდგომარეობა პირდაპირ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ინტერპრეტაციას გავუკეთებთ წმინდა წერილს. როგორც წმიდა ათანასე დიდი ამბობდა,

„შეუძლებელია წმინდანთა სწავლების გაგება, თუ არ გვაქვს უბიწო გონება და არ ვცდილობთ მივბადოთ მათ ცხოვრებას“. იმის გამო, რომ წმინდა წერილი არის სულიწმიდით შთაგონებული წიგნი და წმინდა ადამიანთა მეშვეობით არის მოცემული, საკუთარი სიწმინდე პირდაპირ კავშირშია წიგნის სწორად ინტერპრეტაციის უნართან. ნებისმიერი სხვა წიგნისგან განსხვავებით, ბიბლიის სიტყვები „სულია და სიცოცხლე“, და ამიტომ სულიერად უნდა ვიცხოვროთ, რომ ამ სულიერი ჭიდან ვსვათ. ცხადია, ლოცვა და სულიერი დისციპლინა აუცილებელია წმინდა წერილის სწორად გაგებისათვის.

3. წმინდა წერილის გაგება მოაქვს მისი სწავლების მიხედვით ცხოვრებას. როგორც წმინდა ათანასეს სიტყვები გვმოდვრავს, ადამიანს უნდა ჰქონდეს უმწიკვლო გონება და ცდილობდეს მიბადოს წმინდანთა ცხოვრებას, რათა გაიგოს მათი სწავლება. ამგვარი ცხოვრება, პირველყოვლისა, გულისხმობს უფლის მცნებების დაცვას და ქრისტეს სახარებისეული ცხოვრების მიბადვის მცდელობას.

4. ბიბლიური ჰერმენევტიკის მთავარი მიზანია მთელი ქრისტიანული ცხოვრების მთავარი მიზანი: განღმრთობა. ანუ, ჩვენი მიზანი ბიბლიის გაგების მცდელობისას არ უნდა იყოს მხოლოდ აკადემიური კვლევა, არამედ უფრო მეტად ის, რომ გავხდეთ სრულიად განღმრთობილი ადამიანები, ღვთის სიცოცხლით აღვსილნი, მის ღვთიურ ენერგიებში მონაწილენი, მზარდნი ქრისტეს სიმაღლის სისრულისკენ. ჩვენ ინტერპრეტაციას ვუკეთებთ წმინდა წერილს, რათა გავხდეთ მაღლით ის, რაც ქრისტე ბუნებითაა, „გავხდეთ ღმერთი“.

5. მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში შეიძლება ბიბლიის გაგება. წმინდა წერილი დაიწერა ეკლესიის მიერ, ეკლესიაში და ეკლესიისთვის. ამდენად, ის არის ეკლესიის, ასე ვთქვათ, ოჯახური საბუთი, რომელიც წმინდა გადმოცემის უმაღლესი წერტილია, რწმენით მიღებული ეკლესიის მამათა ნაწერებთან, ლიტურგიასთან, ხატებთან და წმინდანთა ცხოვრებასთან ერთად.

6. წმინდა წერილი ჭეშმარიტების მოწმობაა და არა ქრისტიანული ცხოვრების შესახებ ამომწურავი წიგნი. თავად წმინდა წერილის სიტყვებში ვერსად ვერ ვიპოვით სწავლებას, რომ ის სრულიად საკმარისია ქრისტიანული ცხოვრებისთვის. რასაც ჩვენ, როგორც მართლმადიდებლები ვაკეთებთ, ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს წმინდა წერილს, მაგრამ რაიმე წეს-ჩვეულების ან სწავლების ხსენება წმინდა წერილში არ მოითხოვს მის ჩართვას ეკლესიის ცხოვრებაში. თავად პავლე მოციქული ახსენებს საეკლესიო ტრადიციის დაუწერელი წყაროების რეალობას, რომლებიც იმავე ძალისაა მორწმუნეებისთვის, რაც წმინდა წერილი, და რომ ეს ტრადიციები, რომლებიც ჩვენ უნდა „მტკიცედ დავიცვათ და შევინარჩუნოთ“ შეიძლება იყოს „სიტყვიერი ან წერილობითი“. წმინდა წერილში არგაცხადებული წეს-ჩვეულებების მაგალითებია: პირჯვრისწერა, სამეზის შთაფვლა ნათლობისთვის და მონასტრული ცხოვრება. წმინდა ბასილი დიდი იმასაც კი ამბობს, რომ ეკლესიის დაუწერელი ტრადიციების შენარჩუნების გარეშე, ჩვენ „ვამახინჯებთ სახარებას“.

7. **პატივი უნდა ვცეთ ბიბლიის კანონის მთლიანობას, როგორც ეს ეკლესიის ტრადიციაშია მოცემული.** მოციქულთა ან წინასწარმეტყველთა მიერ დაწერილი სხვა ტექსტების მიება შეიძლება საინტერესო და სამეცნიერო ღირებულების იყოს, მაგრამ ის არ არის ჰერმენევტიკული პროექტის ნაწილი ეკლესიის შიგნით. ან პირიქით, კანონიკური წიგნების ავტორობის ან ნამდვილობის ეჭვქვეშ დაყენების მცდელობები ასევე ეკლესიის ცხოვრების მიღმაა. რომც ვიპოვოთ წმინდა პავლე მოციქულის შემოწმებადი „ახალი“ ნაშრომი ან „აღმოვაჩინოთ“, რომ მოსემ სინამდვილეში არ დაწერა „დაბადება“, ვერც ერთ მოვლენას ვერ ექნება რაიმე გავლენა ბიბლიურ კანონზე. ის არის ის, რაც არის.

8. **ჩვენს ხელთ არსებული ყველა რესურსი უნდა გამოვიყენოთ წმინდა წერილის სწორი ინტერპრეტაციისთვის, რათა ჩვენც მივიდეთ და სხვებიც მივიყვანოთ ჭეშმარიტების შემეცნებამდე.** რა თქმა უნდა, ამ რესურსების გამოყენების ცოდნაში სულიერი გამჭრიახობაა საჭირო, მაგრამ თეორიულად მაინც, ყველაფრის გამოყენებაა შესაძლებელი წმინდა წერილში გამოცხადებული ჭეშმარიტების უკეთ შესაცნობად.

9. **წმინდა წერილს თავმდაბლობით უნდა მივიახლოთ.** ეკლესიის ზოგიერთი დიდი და ფილოსოფიურად ყველაზე გათვითცნობიერებული წმინდანიც კი აცხადებდა, რომ წმინდა წერილის ზოგიერთი მონაკვეთი მათთვის რთული იყო. ამიტომ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ვალიაროთ, რომ ჩვენი ინტერპრეტაციები შეიძლება მცდარი იყოს და ისინი ეკლესიის განსჯას მივანდოთ.

10. **მეორადი სახით შეიძლება გამოვიყენოთ აკადემიური მეცნიერების რესურსები, იქნება ეს ლოგიკა, არქეოლოგია, ლინგვისტიკა თუ სხვა.** ეს რესურსები შეიძლება სასარგებლო იყოს წმინდა წერილის გაგების გასაღრმავებლად, მაგრამ მხოლოდ ყველა ზემოხსენებულ ჰერმენევტიკულ პრინციპთან ერთად. ამდენად, მათ ყოველთვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ. უმთავრესი კი მუდამ უნდა იყოს ჩვენი ეკლესიაში ყოფნა, ბიბლიის მიხედვით ცხოვრება, მისი შესწავლა და მისი ცოდნა მაცხოვრებელი წმინდა გადმოცემის საზღვრებში.

მართლმადიდებლობის შეხვედრა XIX-XX საუკუნეების მანძილზე დასავლეთში განვითარებულ ფილოსოფიურ ჰერმენევტიკასთან შესაძლებელი ხდება აქ ჩამოთვლილთაგან მხოლოდ უკანასკნელი მართლმადიდებლური ჰერმენევტიკული პრინციპის საფუძველზე, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ თანამედროვე დასავლური ჰერმენევტიკა:

- 1) გარკვეულწილად პროტესტანტული რეფორმაციის გავლენის საფუძველზე აღმოცენდა და ამდენად, დაშორებულია მართლმადიდებლურ საეკლესიო ტრადიციას;
- 2) არსებითად სეკულარული და ფილოსოფიური ხასიათისაა, და შესაბამისად, მიწიერი სიბრძნისკენაა ორიენტირებული;
- 3) ერთ ჭრილში განიხილავს ბიბლიის ტექსტს (ღვთის სიტყვას) და სხვა ტექსტებს (ადამიანთა სიტყვებს);

- 4) ახასიათებს სუბიექტივიზმი, რელატივიზმი და პლურალიზმი, და ამდენად, არ მიისწრაფვის ობიექტური ჭეშმარიტებისკენ, რომელიც ერთია და აბსოლუტური;
- 5) დამოკიდებულია დროის მოთხოვნებზე და ამიტომაც, მუდამ ცვალებადია და ტენდენციური.

დასავლური ფილოსოფიური ჰერმენევტიკის დამფუძნებლის, გერმანელი ფილოსოფოსისა და პროტესტანტი თეოლოგის ფრიდრიხ შლაიერმახერის ჰერმენევტიკული კონცეფციიდან მართლმადიდებლობამ შეიძლება ნაწილობრივ ცნოს, გერმანელი ფილოსოფოსის მარტინ ჰაიდეგერის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ე.წ. ჰერმენევტიკული წრე, რადგან ეს არის ტექსტის გაგების არა წინასწარ შემუშავებული მეთოდი, არამედ მთელი ტექსტისა და მისი ნაწილების ინტერპრეტაციის გარდაუვალი ურთიერთდამოკიდებულების შედეგად ავტომატურად წარმოქმნილი ერთგვარი წრიული ჰერმენევტიკული პროცესი ნებისმიერ ტექსტთან ურთიერთობისას. თუმცა, ვთქვათ, რთული მხატვრული ნაწარმოების გაგება-გააზრების პროცესში, რამდენი ჰერმენევტიკული წრეც არ უნდა დავარტყათ, ცხადია, მხოლოდ ეს საკმარისი ვერ იქნება ტექსტში დაფარული აზრის სრული წვდომისათვის. ამის თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება შექსპირის ყველაზე ღრმა და ფილოსოფიური პიესა „ჰამლეტი“, რომელიც მუდმივად ინტერპრეტაციის ახალ შესაძლებლობებს გვთავაზობს და ერთგვარად ჰერმენევტიკულ თვითცნობიერებასაც კი ატარებს თავისი მეტადრამატულობითა თუ ეპისტემოლოგიურ-ონტოლოგიური კითხვებით, რომელსაც სვამს მისი ეპონიმური პროტაგონისტი. მით უფრო ასეა ეს, როცა საქმე ეხება ბიბლიურ ტექსტს, რომლის აზრობრივი სიღრმე თუ სიმაღლე ამოუწურავია. გარდა ამისა, არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ ამ ჰერმენევტიკულ წრებრუნვაში შეცდომები არ გაიპარება, ან თუნდაც, გაპარული შეცდომები ეტაპობრივად აღმოიფხვრება.

შლაიერმახერის მიზანი, შეემუშავებინა ყოველგვარი ტექსტისათვის საერთო ჰერმენევტიკული მეთოდოლოგია შეუსაბამოა მართლმადიდებლობასთან, რადგან შეუძლებელია ბიბლიურ ტექსტს (ღვთის სიტყვას) მიესადაგებოდეს ინტერპრეტაციის იგივე მეთოდები, რაც სხვა ტექსტებს (ადამიანთა სიტყვებს). ამას მოწმობს ზემოთ მოყვანილი ის სულიერი წინაპირობები, მართლმადიდებლური ჰერმენევტიკული პრინციპები, რომელთა დაცვაც აუცილებელია წმინდა წერილის სწორად გააზრებისათვის.

ტექსტის უკეთ გაგების შლაიერმახერისეული ცნობილი ჰერმენევტიკული დებულება ასევე მიუღებელია მართლმადიდებლური სწავლებისათვის. ტექსტის უკეთ გაგებაში შლაიერმახერი გულისხმობს, რომ მკითხველი უნდა ჩაწვდეს არა მხოლოდ იმ აზრს, რაც ავტორმა ჩადო ტექსტში, არამედ იმასაც, რაც ავტორმა გაუცნობიერებლად გადმოსცა მასში. ამგვარი მიდგომა ბიბლიურ ტექსტთან მიმართებაში ვერ გამართლდება, რადგან მისი უზენაესი ავტორი ყოვლისმცოდნე, ყველგანმყოფი, მარადმყოფი, ყოვლისმპყრობელი ღმერთია, რომლისთვისაც გაუცნობიერებელი არაფერია. შესაბამისად, ავტორზე უკეთ მისი ტექსტის გაგება აქ

იმთავითვე გამორიცხულია. გარდა ამისა, ის საფრთხე, რომ მკითხველმა ტექსტში დაფარული საზრისის ძიებისას შესაძლოა არასწორი აზრები მიაწეროს ავტორს, ამ შემთხვევაში ბევრად უფრო საშიშია, რადგან ეს უკვე პასუხისმგებლობაა იმ ავტორის წინაშე, რომელიც ღმერთია.

გერმანელი ფილოსოფოსისა და ისტორიკოსის ვილჰელმ დილთაის ჰერმენევტიკული კონცეფციაც მართლმადიდებლური გადმოსახედიდან ასევე უადგილოა ბიბლიის ტექსტთან მიმართებაში, ვინაიდან დილთაისთვის ტექსტის ინტერპრეტაციის მთავარი საზომი ავტორის ცხოვრების ფსიქოლოგიური ისტორია და მისი კულტურულ-ისტორიული კონტექსტია. თუ ამ ხედვას შეუძლია გარკვეული შედეგი მოგვცეს მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის საქმეში, ბიბლიასთან იგი უძლურია ორი მიზეზის გამო: პირველი იმიტომ, რომ მთელი წმინდა წერილი ერთი ჭეშმარიტი ღმერთის შთაგონებითა და კარნახით არის დაწერილი, ღმერთის, რომელიც ზედროულ-ზესივრცულია და ამდენად, ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში მოქცევას არ ექვემდებარება, მეორე კი იმიტომ, რომ ბიბლიის ტექსტის სხვადასხვა ნაწილების დამწერ წინასწარმეტყველთა და მოციქულთა ცხოვრების ფსიქოლოგიურ-ისტორიულ-კულტურული კონტექსტის სრული ცოდნაც ვერ იქნება საკმარისი ტექსტში გადმოცემული ღვთიური აზრის წვდომისათვის, ბიბლიის სწორი გააზრებისათვის.

გერმანელი ფილოსოფოსის მარტინ ჰაიდეგერის ჰერმენევტიკული კონცეფციაც ვერაფერს მოგვცემს ბიბლიასთან მიმართებაში, რადგან ის გამოირჩევა სუბიექტივიზმითა და რელატივიზმით, რაც ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ ჰაიდეგერისთვის ჰერმენევტიკა სცდება ტექსტის საზღვრებს და მოიცავს სუბიექტის გაუგებარ ყოფიერებას ამ სამყაროში. შესაბამისად, ჰაიდეგერისეული ჰერმენევტიკის საგანია ამ მსოფლიო მოცემულობაში ადამიანის ყოფიერების ინტერპრეტაცია, ანუ სახეზე გვაქვს ონტოლოგიურ-ფენომენოლოგიური ჰერმენევტიკა. მაგრამ ბიბლიური ჰერმენევტიკისთვის უფრო მნიშვნელოვანია ადამიანის სულიერი ყოფიერების საიდუმლო, ვიდრე მისი ამქვეყნიური ფიზიკური ყოფიერების ფენომენი. მართლმადიდებლური ხედვით, ადამიანის სული ნაწილობრივ უკვე მარადიულობაში იმყოფება ამ წუთისოფელშივე, უბრალოდ როგორი იქნება მისი მარადიულობა საბოლოოდ, ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული. ჰაიდეგერისთვის კი ადამიანი უაზროდ შემოგდებულია ამ ქვეყნიერებაში მხოლოდ იმისთვის, რომ ბოლოს მოკვდეს. ცხადია, ადამიანის ყოფიერების ამგვარი ინტერპრეტაცია სრულიად აცდენილია ჭეშმარიტებას და მხოლოდ სულის უკვდავებაში ურწმუნობას, ან სულ ცოტა, ძლიერ დაექვევას გამოხატავს. ამიტომაც, ჰაიდეგერისეული ჰერმენევტიკაც უუნაროა, სწორად გაიზაროს წმინდა წერილი.

გერმანელი ფილოსოფოსის ჰანს-გეორგ გადამერის ჰერმენევტიკული კონცეფციაც დიდწილად შეუთავსებელია ბიბლიურ ჰერმენევტიკასთან, თუმცა ზოგჯერ თითქოს შესაძლებელია მისი ზოგიერთი დებულების ნაწილობრივ მისადაგება საღვთო წერილის მართებული ინტერპრეტაციის პრინციპებთან.

გადამერი მიიჩნევს, რომ ინტერპრეტატორის (მკითხველის) მიერ ტექსტის ინტერპრეტირება დიალოგური ხასიათისაა და ამგვარად, ინტერპრეტატორის გონებრივი თვალსაწიერი (ჰორიზონტი) ეხება ტექსტის თვალსაწიერს (ჰორიზონტს), რის შედეგადაც, მეტად თუ ნაკლებად, იცვლება ინტერპრეტატორის წინასწარშექმნილი მცდარი წარმოდგენები ტექსტზე და იზრდება მისი გონებრივი თვალსაწიერიც. ამით გადამერი ცდილობს, უპირატესობა, ინტერპრეტატორთან შედარებით, მიანიჭოს ტექსტს, რათა ინტერპრეტატორმა საკუთარი აზრები არ მიაწეროს ტექსტს, არამედ გამოიძიოს, რეალურად რას გულისხმობს ტექსტი. ბიბლიის ტექსტისადმი ამგვარი მიდგომა, შეიძლება ითქვას, მართლმადიდებლურ ჰერმენევტიკულ პრინციპებს არ ეწინააღმდეგება, რადგან ბიბლია ღვთის სიტყვაა, მიმართული ადამიანისადმი, რითაც დიალოგურობა სახეზეა, და ამ წმინდა ტექსტში ჩადებული უცდომელი აზრებიც, ცხადია, უპირატესია მისი ინტერპრეტატორის მეტ-ნაკლებად ცდომილ აზრებსა და წარმოდგენებზე. თუმცა ბიბლიური ტექსტის თვალსაწიერი უსასრულოდ აღემატება ყოველგვარი სხვა ტექსტის თვალსაწიერს. მას შეუძლია უსასრულოდ გააფართოვოს ჩვენი თვალსაწიერი, რადგან მისი თვალსაწიერი უსასრულოა, როგორც თავად ღმერთია უსასრულო. ადამიანი ვერასდროს ამწურავს ბიბლიურ ტექსტს, რადგან ყოველთვის დარჩება მასში ის, რაც ადამიანს ჯერ ვერ შეუმეცნებია. ხოლო ის, რასაც ადამიანი ვერასდროს შეიმეცნებს, არც არის მოცემული ბიბლიაში. აი, სწორედ ეს ქმნის ბიბლიის ტექსტის თვალსაწიერს, მის ჰორიზონტს, თორემ მისი უზენაესი ავტორისთვის, თავად ღმერთისთვის, არანაირი ჰორიზონტი, არანაირი თვალსაწიერი არ არსებობს. იგი იმთავითვე სრულად აცნობიერებს ყოველივეს, თვით საკუთარ თავს – ღმერთს, ყველაზე შეუცნობელს. რახან ღმერთმა, როგორც ბიბლიის უზენაესმა ავტორმა, თავისი სიტყვის გამომთქმელად, მის ერთგვარ თანავტორებად, ადამიანები (ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები და ახალი აღთქმის მოციქულები) აირჩია და ადამიანურ ენაზე გვითხრა თავისი სათქმელი, ამით წმინდა წერილის თვალსაწიერის მიღმა დატოვა ადამიანისთვის მარადიულად შეუცნობელი, რადგან ცხადია, აზრიც არ ექნებოდა ისეთი რამის გადმოცემას, რასაც ვერცერთი ადამიანი (მათ შორის, ვერც ბიბლიის თანავტორი წინასწარმეტყველები და მოციქულები) ვერასდროს შეიმეცნებდა. რაკი ბიბლიის მეშვეობით ღმერთი გვესაუბრება, იგი ჩვენდამი თავის სათქმელში ყოველი ჩვენთაგანისათვის მარადიულად შეუმეცნებელს არ ჩადებდა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბიბლია აზრობრივად ამოწურვადია. ის, რაც ბიბლიიდან ადამიანს, ღვთის შეწევნით, შეუძლია ეტაპობრივად სწორად შეიმეცნოს, თავისთავად არის ამოუწურავი.

გადამერი ასევე თვლის, რომ ინტერპრეტაციის პროცესი გულისხმობს დიალოგს აწმყოსა (ინტერპრეტატორის თანამედროვეობასა) და წარსულს (ტექსტის თანამედროვეობას) შორის, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ბიბლიის წმინდა ტექსტთან ურთიერთობა არ არის დიალოგი მხოლოდ აწმყოსა და წარსულს შორის, არამედ ასევე – აწმყოსა და მომავალს შორის, და თვით – აწმყოსა და მარადიულობას

შორის, რადგან წმინდა წერილი ეხება როგორც წარსულს, აწმყოსა და მომავალს, ისე მარადიულობასაც. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ღმერთი (ყოვლადწმიდა სამება) დროის მიღმაა და ამავედროულად მისი მეორე პირი, ძე ღმერთი, დროშიც შემოვიდა განკაცებისას: ხილულად გამოჩნდა წარსულში (დაახლოებით ორი ათასი წლის წინ), აწმყოშიც ჩანს ეკლესიაში, როცა ლიტურგიისას პური და ღვინო მის ჭემმარიტ ხორცად და სისხლად გადაარსდება, და მომავალშიც გამოჩნდება მეორედ მოსვლისას.

სრულიად შეუსაბამოა მართლმადიდებლურ ჰერმენევტიკასთან გადამერის წარმოდგენა ტექსტში ჩადებულ მნიშვნელობაზე, რადგან მისთვის ტექსტის მნიშვნელობა ისტორიულად ცვლადია, ხოლო მართლმადიდებლობისთვის ბიბლიაში ჩადებული აზრები დროში არ იცვლება. წმინდა წერილის ტექსტი ყველა ეპოქის ადამიანისთვის ერთ უცვლელ მნიშვნელობას ატარებს, ერთსა და იმავეს გულისხმობს, უბრალოდ ამ უცვლელ მნიშვნელობას ბიბლიის მკითხველი ყოველი ადამიანი იაზრებს საკუთარ ისტორიულ რეალობაში, რაც ცვლადია. გადამერის მოსაზრება, რომ ტექსტის მნიშვნელობა ნაწილობრივ მკითხველის აღქმაზეა დამოკიდებული, არათუ მხოლოდ მართლმადიდებლურ ჰერმენევტიკას ეწინააღმდეგება, არამედ თვით გადამერის მართებულ დებულებას, რომ ტექსტზე ინტერპრეტატორის წინასწარშექმნილ აზრებში გარეული მცდარი წარმოდგენები ტექსტთან დიალოგური ურთიერთობისას უნდა გასწორდეს. თუ ტექსტში არ ვეძებთ ავტორის მიერ ჩადებულ აზრს, მაშინ როგორღა უნდა გასწორდეს ჩვენი მცდარი წარმოდგენები ტექსტზე? თუ ბიბლიაში თავად ღმერთის ჩადებული აზრი და ამ აზრის სწორად გაგება არ გვაინტერესებს, მაშინ რამ უნდა გაასწოროს ჩვენი ცრუ წარმოდგენები ღვთის სიტყვაზე?

ამრიგად, ცხადია, რომ ტექსტში ჩადებულ მნიშვნელობაზე გადამერის წინააღმდეგობრივი ხედვა (საუბარი, ერთი მხრივ, მნიშვნელობის ისტორიულ ცვალებადობაზე და მეორე მხრივ, ამ მუდმივად ცვლადი მნიშვნელობის დახმარებით მკითხველის არასწორი წარმოდგენების „გასწორებაზე“) ქმნის ბიბლიის ერეტიკული ინტერპრეტაციის წინაპირობას: როცა ბიბლიაში ნაგულისხმევი აზრის არასწორ ინტერპრეტაციას მკითხველი სწორად მიიჩნევს. უფრო მეტიც, ეს კონცეფცია, ფაქტობრივად, ამართლებს იმას, რომ ბიბლიური აზრი მუდმივად იცვლებოდა და მახინჯდებოდა ყოველი მომდევნო ისტორიული ეპოქის მიწიერი მოთხოვნების შესაბამისად, რაც უკვე მწვალებლობიდან ნეოწარმართობისკენ მიმავალი გზაა. მართლმადიდებლობისთვის კი მთავარია წმინდა წერილის სწორი ინტერპრეტაცია და ამ სწორი ინტერპრეტაციის შეურყვნელად შენარჩუნება, რადგან ღმერთი უცვლელია, ღვთის სიტყვა უცვლელია, ჭემმარიტება უცვლელია, და ამდენად, ბიბლიის სწორი ინტერპრეტაციის შეცვლა და დამახინჯება დამლუპველია. ამ ყველაფერს საკუთრივ წმინდა წერილი გვიდასტურებს, რითაც მტკიცდება მართლმადიდებლური ჰერმენევტიკული მიდგომის მართებულობა და უცდომელობა.

თავისი სიტყვების შეუცვლელიობისა და დაურღვევლობის შესახებ თავად უფალი იესო ქრისტე სახარებაში ბრძანებს: „ცა და ქვეყანა გადავა, ხოლო ჩემი სიტყვები არ გადავა“ (მათე 24, 35; მარკოზი 13, 31; ლუკა 21, 33). ამით უფალი მკაფიოდ მიგვითითებს, რომ მისი სიტყვები ყოვლად სარწმუნოა და უმტკიცესი, მთელ ხილულ და უხილავ სამყაროზე უფრო მტკიცე, რომელთა არსებობასაც ისევ და ისევ ღვთის სიტყვა განამტკიცებს.

პეტრე მოციქული თავის მეორე ეპისტოლეში გვაფრთხილებს: „უწინარეს ყოვლისა, ესეც იცოდეთ, რომ წმიდა წერილის არცერთი წინასწარმეტყველება თავისით არ განიმარტება, ვინაიდან წინასწარმეტყველება არასოდეს კაცთა ნებით არ წარმოთქმულა, არამედ სულიწმიდის შთაგონებით წარმოსთქვამდნენ მას ღვთის წმიდა კაცნი“ (2 პეტრე 1, 20-21). „იყვნენ ცრუწინასწარმეტყველნი ხალხში, ისევე, როგორც თქვენშიც იქნებიან ცრუმოდვარნი, რომელნიც შემოიღებენ დამღუპველ მწვალებლობას, უარყოფენ თავიანთ გამომსყიდველ უფალს და მალე თვითონვე დაიღუპავენ თავს. ბევრი გაჰყვება მათ თავაშვებულობას, და მათი წყალობით დაიგმობა ჭეშმარიტების გზა. და ანგარების გამო ცრუ სიტყვებით მოგისყიდნიან თქვენ, მაგრამ არ დაახანებს მათი სასჯელი და არ სძინავს მათ წარწყმედას“ (2 პეტრე 2, 1-3).

პავლე მოციქული თავის ეპისტოლეში გალატელთა მიმართ პირდაპირ შეაჩვენებს სახარებისეული სწავლების დამმახინჯებლებს: „...ჩვენ კი არა, თვით ანგელოზმა ზეციდან რომ გახაროთ სხვა სახარება, და არა ის, რაც აქამდე გვიხარებია თქვენთვის, შეჩვენებული იყოს. რაც უწინ მითქვამს, ახლაც იმასვე ვიტყვი: თუ ვინმე გახარებთ სხვა რამეს და არა იმას, რაც მიგიღიათ, შეჩვენებული იყოს“ (გალატელთა 1, 8-9).

იგივე პავლე მოციქული ებრაელთა მიმართ თავის ეპისტოლეში მკაფიოდ მიუთითებს იესო ქრისტეს მარადიული იგივეობის შესახებ: „იესო ქრისტე გუშინ და დღეს და უკუნითი უკუნისამდე იგივეა“ (ებრაელთა 13, 8). შესაბამისად, ქრისტეს მოძღვრებაც მუდამ იგივეა. მართლმადიდებლობის უცვლელიობა სწორედ ამ იგივეობას ეფუძნება. მართლმადიდებლობა ქრისტეს მოძღვრების ერთადერთი განუხრელი მიმდევარია მთელ მსოფლიოში. ამით არის იგი უნიკალური და შეუცვლელი. მართლმადიდებლობისთვის იესო ქრისტეს უცვლელი მოძღვრება და მისი წმინდა მცნებები თანაბარი ღირებულებისაა ყველა ეპოქაში.

წმინდა წერილის უკანასკნელი ნაწილის, იოანეს გამოცხადების (აპოკალიფსის) ბოლო თავში და შესაბამისად, ბიბლიის უკანასკნელ თავში უფალი მკაცრად გვაფრთხილებს: „ვმოწმობ ყველას მიმართ, ვინც ისმენს ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვებს: თუ ვინმე რამეს დაურთავს მათ, ღმერთი დაურთავს მას წყლულებს, რომლებიც სწერია ამ წიგნში. და თუ ვინმე რამეს მოაკლებს ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვებს, ღმერთი მოაკლებს მას მის წილს სიცოცხლის ხიდან, წმიდა ქალაქიდან და იქიდან, რაც სწერია ამ წიგნში“ (გამოცხადება 22, 18-19). ასეთი მძიმე იქნება იმის ხვედრი, ვინც რამეს მიუმატებს, ან მოაკლებს, ან კიდევ შეცვლის და ასე დაამახინჯებს ღვთის წინასწარმეტყველურ

სიტყვებს, რომელიც წერია იოანეს გამოცხადების წიგნში. აქედან გამომდინარეობს ისიც, რომ წმინდა წერილის სხვა ნაწილებშიც ცვლილებების შეტანა თუ აზრის დამახინჯება დაუშვებელია და ასევე ექვემდებარება ღვთისაგან სასჯელს.

წმინდა წერილიდან მოყვანილი ეს მუხლები ნათლად ცხადყოფს, რომ ჰანს-გეორგ გადამერის ჰერმენევტიკული კონცეფცია ტექსტის მნიშვნელობის ისტორიული ცვალებადობის შესახებ მართლაც შეუთავსებელია ბიბლიურ სწავლებასთან და აქედან გამომდინარე, მართლმადიდებლურ ჰერმენევტიკულ პრინციპებთანაც. მოყვანილი ბიბლიური მუხლები ასევე ამხელენ გადამერის ამ კონცეფციის ზემოთ გამოვლენილ წინააღმდეგობრიობასაც: ინტერპრეტაციის მუდმივი ისტორიული ცვალებადობის პირობებში ტექსტის სწორად ინტერპრეტირების ამაო მოთხოვნას.

წინააღმდეგობრივია, გარკვეულწილად, გადამერისეული ჰერმენევტიკული დიალოგურობის პრინციპიც, რადგან მას, ფაქტობრივად, მოწყვეტილი ჰყავს ავტორი ტექსტისგან და ასე მოუწოდებს მკითხველს ტექსტთან დიალოგის გამართვისაკენ. ეს იგივეა, დიალოგში თანამოსაუბრის მიერ თავის სიტყვებში ჩადებული აზრი მუდამ უგულვებელყოფით და მისი სიტყვები ჩვენებურად (ანუ არასწორად) გავიზაროთ. ცხადია, ასეთ შემთხვევაში კომუნიკაცია ვერ შედგება. ასეთი მიდგომა თანამოსაუბრის აზრისადმი უპატივცემლობასაც გამოხატავს, რამაც შეიძლება მისი გულისწყრომა გამოიწვიოს და საქმე დაპირისპირებამდე მივიდეს. ცხადია, მით უფრო სამძიმოა ამგვარი უპასუხისმგებლო მიდგომა ბიბლიის ტექსტში ღმერთის მიერ ნაგულისხმევი აზრისადმი. გარდა ამისა, ეს არის ამპარტავნული და ეგოცენტრული დამოკიდებულებაც: მთავარია, მე როგორ გავიგე მისი ტექსტი და არა, რა აზრი ჩადო მან თავის ტექსტში. და როდესაც ჩვენი აზრი ღმერთის აზრზე უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ამას უკვე მივყავართ სატანურ მდგომარეობამდე, საკუთარი თავის გაკერპებამდე, ათი მცნების, კერძოდ კი, პირველი და მეორე მცნების დარღვევამდე, სადაც უფალი გვამცნობს, რომ იგია ჩვენი ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი და ამიტომაც, მხოლოდ მას უნდა ვცეთ თაყვანი როგორც ღმერთს და შესაბამისად, გვიკრძალავს კერპთაყვანისმცემლობას, ცრულმერთების თაყვანისცემას, ნებისმიერი რამის ან ვინმეს გაკერპებას, მათ შორის, ჩვენი საკუთარი თავისაც.

ამრიგად, ნათლად ჩანს, რომ მართლმადიდებლური ჰერმენევტიკული პრინციპების გვერდით თანამედროვე დასავლური ჰერმენევტიკა თავისი წინააღმდეგობრივი, სუბიექტივისტური, პლურალისტური და რელატივისტური მიდგომებით მეტად უსუსურად გამოიყურება და არსებითად გამოუსადეგარია წმინდა წერილის სწორად გაგებისათვის. მას შეუძლია გარკვეული სარგებელი მოგვითანოს მხატვრული ლიტერატურის ტექსტთა ინტერპრეტაციაში, მაგრამ რაკი უფრო ტექსტის მკითხველზეა ორიენტირებული, ვიდრე მის ავტორზე, ამიტომაც შორსაა სრულყოფილებისგან და შესაბამისად, ნაკლებად სანდოა.

თანამედროვე დასავლური ჰერმენევტიკის ცდომილება საღვთო წერილთან მიმართებით ვლინდება იმაშიც, რომ ის თითქმის უგულვებელყოფს ქრისტეს

მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა მამების ბიბლიურ სწავლებებსა და განმარტებებს, იმ მამების, რომლებმაც უფალ იესო ქრისტეს მიუძღვნეს მთელი ამქვეყნიური ცხოვრება, მისთვის იღვაწეს და იშრომეს, მისთვის განიცადეს დევნა და შევიწროება, მიიღეს დიდი სულიერი ცოდნა და გამოცდილება, თავიანთი აღმსარებლობით დაამოწმეს ჭეშმარიტება და ზოგიერთმა მათგანმა მოწამეობრივი აღსასრულითაც, ქრისტესათვის საკუთარი სისხლის დათხევითაც ილაღადა ჭეშმარიტება. ბუნებრივია, რომ უფალი სწორედ მათ გაუხსნიდა ბიბლიის ტექსტის დაფარულ შრეებს, იმ ღრმა მნიშვნელობებს, რომლებიც მათ ჩვენ განგვიმარტეს და ამით გაგვიადვილეს საღვთო ტექსტში სწორად ორიენტირება. თუკი ჩვენი ცხოვრება არ არის ბიბლიური მოწოდების სიმაღლეზე, ჩვენ მაინც გვრჩება წმინდა წერილში სწორად წვდომის შესაძლებლობა სწორედ ეკლესიის წმინდა მამების დახმარებით. თუმცა მათი ნაშრომების გასაგებადაც საჭიროა პირველდაწყებითი ცოდნა მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ, და სასურველია სულიერი ცხოვრების მინიმალური გამოცდილებაც.

ამ ყველაფრის შემდეგ, სავსებით მართებული ჩანს, დაისვას კითხვა: რა გაუკეთებიათ ქრისტესთვის ზემოთ განხილულ ფილოსოფოს-ჰერმენევტიკოსებს ისეთი, რომ მათ იმაზე მეტი გაეგოთ წმინდა წერილიდან, ვიდრე ეს მოახერხეს წმინდა მამებმა, იმაზე სწორად შეემეცნებინათ ბიბლია, ვიდრე ეს შეძლეს სარწმუნოებისთვის თავდადებულმა ადამიანებმა? რა თქმა უნდა, არც არაფერი, რადგან მათი მრწამსიც კი ელემენტარულად აცდენილია ბიბლიურ ჭეშმარიტებას. თანაც ისე გამოდის, თითქოს ბიბლიის ტექსტის ჯეროვან ინტერპრეტირებას თანამედროვე ფილოსოფიური ჰერმენევტიკის გარეშე ვერ მოვახდენთ და შესაბამისად, ეკლესიის ღვაწლმოსილ წმინდა მამებს თურმე სწორად ვერ გაუაზრებიათ ბიბლია ლამის ორი ათასი წლის განმავლობაში. არადა, წმინდანობა სწორედ ბიბლიის მიხედვით ცხოვრებას ნიშნავს. რომ შეძლო ეს, აუცილებელია, ბიბლიის სწორად გააზრება დაიწყო. მეორე მხრივ, მისი სწორად გააზრება რომ განაგრძო და გააღრმავო, აუცილებელია, მისი მიხედვით იცხოვრო. და რაც უფრო მეტად ცხოვრობ ბიბლიის მიხედვით, მით უფრო მეტი გესმის ბიბლიური ტექსტიდან, და რაც უფრო მეტი გესმის, მით უფრო მეტად ცხოვრობ ბიბლიის მიხედვით. აი, სწორედ ამგვარ დიალექტიკაში წარმოიქმნება ჭეშმარიტი ონტოლოგიურ-ჰერმენევტიკული წრე (თუ სპირალი), სადაც, ღვთის შეწევნითა და ადამიანის თავისუფალი ნებით, ბიბლიის სწორი ინტერპრეტაცია და მისი მიხედვით ყოფიერება ურთიერთგანმაპირობებელი ხდება. ბიბლია ხომ ღვთის სიტყვაა და ამავედროულად, სიცოცხლის წიგნი. ამიტომაც, იგი ჩვენგან მოითხოვს როგორც მართებულ ინტერპრეტაციას, ისე მართებულ ყოფიერებას. ამგვარი ყოფიერება და ინტერპრეტაცია კი ერთმანეთს შეეწევა სრულყოფაში, ხოლო ადამიანს – სულიერ ზრდასა და მარადიულ ცხოვნებაში.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ წმინდა წერილთან მიმართებაში, მართლმადიდებლური ჰერმენევტიკული პრინციპები არა მხოლოდ მეთოდოლოგიურად განსხვავდება თანამედროვე დასავლური ჰერმენევტიკისგან,

არამედ მიზნითაც: პირველი ცდილობს ინტერპრეტაცია მოარგოს ბიბლიას, მეორე კი – ინტერპრეტაციას მოარგოს ბიბლია. შესაბამისად, უკვე ცხადი ხდება, რომ თანამედროვე დასავლური ჰერმენევტიკული მეთოდის მართლმადიდებლობაში ინტერპრეტაციის მცდელობა მიმართულია ბიბლიური ტექსტის ინტერპრეტაციის დამახინჯებისკენ და რეალურად ემსახურება ეკუმენისტურ მიზნებს, რასაც ამ ტენდენციას აყოლილი ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი არც მალავს. საბოლოოდ კი ეს ყველაფერი მიდის პანეკუმენისტური მიზნისკენ, რომელიც გულისხმობს მსოფლიო რელიგიებისგან ერთი საერთო რელიგიური კონგლომერატის მიღებას, რომლის სათაყვანებელიც იქნება ცრუმესია ანტიქრისტე, ხოლო ბიბლიის გაყალბებული ინტერპრეტაცია მოემსახურება ზუსტად იმის მტკიცებას, რომ წმინდა წერილი თითქოს წინასწარმეტყველებს სწორედ მასზე როგორც კაცობრიობის მხსნელზე და არა კაცობრიობის ჭეშმარიტი გამოხსნისათვის განკაცებულ ძე ღმერთზე, ჯვარცმულ, მკვდრეთით აღმდგარ და ზეცად ამაღლებულ უფალ იესო ქრისტეზე, ჭეშმარიტ მესიაზე, რომელიც უსათუოდ მოვა მეორედ, ამჯერად უკვე მთელი თავისი ძალითა და დიდებით, და საბოლოოდ დაასრულებს მსოფლიო შემლილობას და მათ შორის, ამ ჰერმენევტიკულ სიგიჟეს.

ლიტერატურა:

ბიბლია. (2009). თბილისი: საქართველოს საპატრიარქო.

Dilthey, W., & Rickman, H. P. (2010). *Dilthey: Selected Writings*. Cambridge University Press.

Gadamer, H.-G. (2004). *Truth and Method*. 2nd rev. ed. (trans. J. Weinsheimer & D. G. Marshall). New York: Continuum.

Heidegger, M. (2001). *Being and Time* (trans. J. Macquarrie & E. Robinson). New York: Harper & Row.

OrthodoxWiki contributors. (2023). *Hermeneutics*. OrthodoxWiki.
<https://orthodoxwiki.org/Hermeneutics>.

Ryan, M., Castle, G., Eaglestone, R., & Booker, M. K. (2011). *The Encyclopedia of Literary and Cultural Theory*. Wiley-Blackwell.

Schleiermacher, F. D. E. (1985). General Theory and Art of Interpretation. In K. Mueller-Vollmer (ed.). *The Hermeneutics Reader*. New York: Continuum, pp. 72–97.

Shakespeare, W. (2019) *Hamlet, Prince of Denmark*. Ed. Philip Edwards. 3rd ed. New Cambridge Shakespeare. Cambridge: Cambridge University Press.

St. Athanasius Orthodox Academy. (2008). *The Orthodox Study Bible*. Thomas Nelson.